ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქონების მართვის და ბუნებრივი

რესურსების საკითთა კომისიის

სხდომა N 05

დ. ლენტეხი **30/04/2025 წ.**

მიმდინარე წლის 30 აპრილს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე დალი ტვილდიანი, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით პირველი, კომისიის წევრები: ამირან ქურასბედიანი, მევლუდ ლიპარტელიანი, მირიან ლიპარტელიანი,მერის მოადგილე ზვიად ლობჟანიძე, რწმუნებულები: ლენტეხის მუნიციპალიტეტის რწმუნებული ლაშა ონიანი, მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ქურასბედიანი,ხოფურის თემის რწმუნებული გოჩა ქარდავა, ხოფურის თემის მაჟორიტარი დეპუტატი კახა ლიპარტელიანი,ხელედის თემის რწმუნებული ანა ბენდელიანი,ჩოლურის თემის რწმუნებული გერასიმე ბენდელიანი, ჩიხარეშის და მელეს რწმუნებული ანა ჩარქსელიანი, სასაშის და ჟახუნდერი თემის რწმუნებული მარიანა მაღლაკელიძე.

მოისმინეს: კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებსა და რწმუნებულებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ლენტეხის მუნიციპალიტეტში გარე განათებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების თოაბაზე;

აღნიშნულ საკითხზე დამსწრე საზოგადოებას ინფორმაცია მიაწოდა მერის მოადგილემ ზვიად ლობჟანიძემ. მან წარმოადგინა მონაცემები და აღნიშნა რომ დაბა ლენტეხში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შეიქმნა ელექტრო ენერგიის ხარჯვის კანონიერების შემსწავლელი კომისია, რომელსაც ევალება პერიოდულად შეისწავლოს ენერგიის ხარჯვის მდგომარეობა და მერიაში წარმოადგინოს წინანადადებები გასატარებელი ღონისძიებების შესახებ. აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა კომისიის 3 (სამი) სხდომა, ენერგო პროსგან მიღებული გვაქვს ინფორმაცია- მონაცემები, რომელიც არის ცვალებადი. ამ საკითხთან დაკავშირებით ვაწარმოებთ კონკრეტულ კვლევას.

ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა დასვა შეკითხვა:

თქვენს მიერ შექმნილი კომისის მიერ ადგილზე შემოწმების შედეგად არის თუ არა რაიმე სახის დარღვევა დაფიქსირებული?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კომისია შეიწავლის შედეგებს და შესაბამის რეაგირებას მოვახდენთ, ენერგო პროს მიერ გამოგზავნილ ფაილში მოცემული ხარჯები ნოემბრიდან მომატებულია, ეს არ არის მერიის დანახარჯი. 12 თვეში 1600 კილოვატამდე არის. შევადარებთ აპრილის თვის მონაცემებს და განვაახლებთ კომისიურ შესწავლას.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დავით პირველმა დასვა შეკითხვა:

სადაც დარღვევა აღმოაჩინეთ, რა რეაგირება იყო კომისიის მხრიდან. მიიღეს თუ არა ზეპირი გაფრთხილება?

პასუხად მომხსენებელმა აღნიშნა: ადგილზე ვეცნობით მონაცემებს, სადაც დარღვევა აღმოჩნდება პირველ რიგში მივცემთ სიტყვიერ გაფრთხილებას და იმ შემთხვევაში თუ მათი მხრიდან არ მოყვება შესაბამისი რეაგირება, შემდეგ ეტაპზე მივმართავთ სანქციებს, კერძოდ ჩავუჭრით კაბელს, ველოდებით მონაცემებს 2 თვის განმავლობაში რა შეიცვალება, კომისიის შემდგომი გასვლითი შემოწმების შედეგად.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარმა ირაკლის ქურასბედიანმა აღნიშნა, რომ საჭიროების გარეშე მოედნებზე დაფიქსირებულია გარე განათება ზამთარშიც კი და ვთვლი, რომ არ უნდა იყოს ჩართული.

კომისიის თავმჯომარემ დალი ტვილდიანმა დასვა შეკითხვა ენერგო პროს წარმომადგენლებს თუ აქვთ ვალდებულება რომ მერიაში შექმნილ კომისიასთან ერთად მივიდნენ კონკრეტულ ადგილზე და ერთობლივად მოახდინონ შესაბამისი რეაგირება?

პასუხად მომხსემენებელმა აღნიშნა, რომ ვალდებულებას არ აქვთ. იმ შემთხვევაში თუ რაიმე სახის დარღვევა გამოვლინდა პირველ რიგში მკაცრ გაფრთხილებას მიიღებენ და შემდეგ ეტაპზე როგორც ავღნიშნე დავაწესებთ სანქციებს. სპეციალისტის მოწვევას ვფიქრობდით, მაგრამ ვერ ხერხდება იმ მიზეზიდან გამომდინარე რომ ვინმე უნდა გაყვეს ადგილზე შემოწმების მიზნით მაგრამ პასუხისმგებლობა ჩვენზეა, აპარატის შეძენაც გვინდოდა მაგრამ ძვირადღირებულია და ამ ეტაპზე არ მოხერხდა .

მოისმინეს: ქონების მართვის და ბუნებრივი რესურსების საკითთა კომისიის წევრმა ამირან ქურასბედიანმა აღნიშნა - შევქმნათ სპეციალური სამსახური რომელიც ადგილზე შეამოწმებს და შეიწავლის მონაცემებს. იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი სამსახურის შექმნა არ მოხერხდა მივმართოთ გადამწყვეტ ზომებს, ჩავჭრათ ქუჩები შევადაროთ მონაცემები შესაბამისად გვექნება ინფორმაცია საეჭვო ქუჩების შესახებ.

პასუხად ზვიად ლობჟანიძემ აღნიშნა რომ ზუსტად ამ მიზნით გვჭირდება აპრილის თვის მონაცემები მას შემდეგ რაც გავეცნობით მონაცემებს რის საფუძველზეც მივიღებთ ინფორმაციას, რა შედეგი გამოიღო კომისიის შექმნამ. შემდეგ ეტაპზე უკვე განვაახლებთ საველე სამუშაოებს და კომისიურად შესწავლას რომელ სოფლებშიც ელექტრო ენერგიის გადახარჯვა აღმოჩნდება, მიეცემათ მკაცრი გაფრთხილება 1 თვით შეეზღუდებათ ელექტრო ენერგიის მიწოდება დაგვჭირდება დეპუტატების ჩართულობა. მაისის სხდომისთვის მოგაწვდით ზუსტ ინდორმაციას.

კომისიის თავმჯდომარემ დალი ტვილდიანმა კომისიის წევრებმა და რწმუნებულებმა დადებითად შეაფასეს მერის მოადგილის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია. კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ აუცილებლად მკაცრად უნდა გაკონტროლდეს აღნიშნული საკითხი, მოხდეს შესაბამისი რეაგირება, რომ უახლოეს პერიოდში გავიდეთ რეალურ შედეგზე .

სხდომა დასრულდა 13:00 საათზე.

ქონების მართვის და ბუნებრივი

რესურსების

საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **/დ. ტვილდიანი/**